ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47242125**
თარიღი:**30/07/2024**

ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 7

დ.ჩოხატაური 23 ივლისი 2024 წელი.

<u>თავმჯდომარეობდა:</u> ვლადიმერ სიხარულიძე.

ესწრებოდნენ: ლაშა თოლორდავა, კობა კალანდაძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ზვიად წეროძე, დავით ტყეშელიაძე.

არ ესწრებოდნენ: აკაკი ყაჭეიშვილი, მანანა მინდაძე, ვალერიან ჩხიკვაძე, ხათუნა ბერიშვილი, მამია ბარამიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

თენგიზ მეგრელიშვილი - მერიის ქონების მართვის განყოფილების სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. დაბა ჩოხატაურში მდებარე 204.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.23.454) ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

3. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.21.543) შ.პ.ს. საქართველოს ფოსტა“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების ფორმით (იჯარა) გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

4. ქონების მართვის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის

სამსახურის ანგარიში 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, ლაშა თოლორდავამ, ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დაბა ჩოხატაურში მდებარე 204.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.23.454) ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

3. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.21.543) შ.პ.ს. საქართველოს ფოსტა“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების ფორმით (იჯარა) გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

4. ქონების მართვის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

I საკითხი

დაბა ჩოხატაურში მდებარე 204.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.23.454) ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მოისმინეს :

1. დაბა ჩოხატაურში მდებარე 204.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.23.454) ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვის

შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი მდებარეობს სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობებს შორის, რაც ბიზნეს საქმიანობისთვის შეუფერებელი ადგილია. ამდენად, საკითხი მოიხსნას ბიუროს სხდომის დღის წესრიგიდან.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი აღნიშნული შენიშვნით დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა დაბა ჩოხატაურში მდებარე 204.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.23.454) ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში არ შეტანის შესახებ.

II საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ნუსხაში წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კერძო პირის საკუთრების, კერძოდ, კომერციული ფართის წინა მხარეს, საკითხი საჭიროებს მეტ დაზუსტებას, რამდენად ექვემდებარება აღნიშნული მიწის ნაკვეთი პრივატიზებას.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი აღნიშნული შენიშვნით დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში არ შეტანის თაობაზე.

III **საკითხი**

დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.21.543) შ.პ.ს. საქართველოს ფოსტა“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების ფორმით (იჯარა) გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მოისმინეს :

3.დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.21.543) შ.პ.ს. საქართველოს ფოსტა“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების ფორმით (იჯარა) გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.21.543) შ.პ.ს. საქართველოს ფოსტა“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების ფორმით (იჯარა) გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

IV საკითხი

ქონების მართვის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მოისმინეს :

4. ქონების მართვის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

სხდომის განიხილა და ცნობად მიიღო ქონების მართვის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ვლადიმერ სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისია-კომისიის უხუცესი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი